# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 53 — კვირა, 11 აგვისტო 1902 წ. — გაზეთის № 1893.

# მკვდარი ია

... იქითკენ მიისწრაფოდა, სადაც განისვენებდა სიმშვიდე მისი სულისა...

მაგრამ რისთვის?

იმიტომ ხომ არა, რომ ტანჯვა გაორკეცებოდა და მასში შთანთქმულიყო სულის ობლობა, მარტოობა...

გარეშემო ყველაფერი ჰხარობდა.

ბუნება თითქოს თვის ძლევა-მოსილებას დღესასწაულებდა, მაგრამ ეს ლიტანიაობა ქალის სულიერ წყვდიადში ისე მოსჩანდა, როგორც სუსხიან ზამთარში უძლური და ჩლუნგი შუქი ქვეყნის მანათობელისა.

თითოეული გამოსახულება ბუნებისა, თუ მოძრაობა ცხოვრებისა, ძაძით იყო მოსილი, რადგანაც დაავადებულ გრძნობაშემაერთებელი ძალა—საყვარელი შვილი, რომელიც მერცხალისებურის ჭიკჭიკითა და ლაღის ცელქობით სულს უდგამდა ამ უტყვ ბუნებას და მეტყველს უახლოვებდა.

მწუხარების ბურუსში გამომზირალს ქალის თვალს ასე ეგონა, რომ ეს მცენარეთა კრებული თითქოს დამუნჯებულა, ვით მათი მეგობარი, და დედის გლოვას პატივსა სცემს.

აი, ის ბუჩქი ასკილისა... რა ცხოვლად ახსოვს!...

დედა-შვილი ერთად დასეირნობდნენ...

უეცრად მოისმა შვილის მალხაზი ხმა:

— დედა, კურდღელი!

ამასთანავე ქალმა იგრძნო, რომ პაწია თათი ხელიდან გაუსხლტა... მიიხედა მარჯვნივ: მინდორზედ ისარივით გაძაბულიყო ლურჯი კურდღელი, რომელიც მათ მიახლოვებას დაეფთხო. პატარა-კი კუნტრუშით უკან დასდევნებოდა, მითომ დაწევნას უპირებდა.



თევზაობა

გონებას ქალის თვალისათვის მწუხრი გადაეფარებინა მას შემდეგ, რაც პაწია არსება—დედის სიხარული და სიქადული,—შავ-მიწას ამოეფარა.

იმ წყეულ წამიდან დედის გული მთლად დაცალიერდა, მისი არსება დაემსგავსა მიყრუებულ უდაბნოს, რომელშიაც მხოლოდ-ღა ქარი დანავარდობს... მშობლის წუხილი, ვაება სრული განხორციელება იყო ამ ქარის გმინვა-ქვითინისა.

* * *

მთელი ეს მიდამო ქალისათვის ნაცნობი იყო: ყოველი ბუჩქი, ყოველი ხე, თითქმის პაწია ყვავილიც-კი სავსეა ნეტარის მოგონებით, მაგრამ ახლა მეგობრობის კავშირი თითქოს შუა გაწყვეტილა, რადგან დედას თან არა ჰყავს მათი

კურდღელმა თავს უშველა, იგი ტყეს შეეფარა. გოგლო-კი სირცხვილ-ნაჭამი უკან გამობრუნდა; სახე მარგალიტის მსგავსის ოფლით მთლად მოჰნამოდა; თვალებში უსაზღვრო კმაყოფილება ეხატებოდა, ვით გმირსა, რომელსაც მტერმა ზურგი უჩვენა.

— ააჰ! გამექცა! — წამოიძახა დანანებით გოგლომ. მას შემდეგ, როცა-კი იმ ბუჩქთან გაივლიდნენ, გოგლო, მიახლოვებისათანავე, ეტყოდა ხოლმე:

— აი, ასკილი... კურდღელი რომ გამექცა... გახსოვს, დედა?!

მაშინ ეს ბუჩქი სულ სხვა იერით გამოიყურებოდა: თითქოს გოგლოს სიტყვებში თვისდამი ალერსს ჰსახავდა და სამაგიეროდ ისიც სალამს უძღვნიდა, აქეთ-იქით ლაქუცით ქანა-

ობდა და ყვავილ-დაყრილ ტოტებს ბალღისაკენ ჰზნექავდა, გეგონებოდათ მისს შეუმწიკვლელ არსების წინაშე ქედს იხრისო.

ახლა კი რაღაც დაღვრემილება იხატება ასკილის თითოეულ ყლორტში; ჭმუნვარება-მოსილნი ერთმანეთს ჩაჰხვევიან, მოძრაობა გაუკავებიათ...

* * *

მივიდა იქ, საცა დამარხულია ყოველი ნეტარი წარმოდგენა, ხსოვნა.

საფლავი მისის ბიჭიკოსი ჰყვავოდა.... ის კი—პაწია ყვავილი—სამუდამოდ მოსწყდა ქვეყნის თაიგულს—სიცოცხლეს.

დაიჩოქა და ცრემლისაგან დამწვარი სახე საფლავს შეახო. მაშინვე არსებაში უცნაური სასოება ჩაესახა .. მთელ სხეულში სასიამოვნო თრთოლა იგრძნო, თითქოს შვილის სხეული მკერდზედ ეკვროდა... ცივი მიწა სითბოებით უვსებდა ყოველ ძარღვს... ალბად იმიტომ, რომ ეს ნიადაგი გაპოხიერებული იყო ძვირფასის ნესტით...

ცოტა კიდევ... და იგი ოცნებამ გადაასახლა იმ ადგილს სანეტაროს, საცა მართალნი განისვენებენ...

აშკარაა, ხელშეუხებელი სული პაწიასი, ვით მშვენიერი ქერუბიმი, ლაღად დანავარდობს სამოთხეში და, ცის კიდეზედ მომდგარი, დედას ელერსება.

რა აკლია განა გოგლოს იქ, იმ სოფლად?

არაფერი...

განა ბედნიერება არ მოუვიდა, როდ ჯერ კიდევ შეუმწიკვლელი, ნორჩი, არ მცოდნე ტანჯვა-ვაებისა, განშორდა ამა სოფელს, მაცდურსა, მსახვრელს და ჰპოვა საყდარი უკვდავებისა?!

და ქალი ერთ სურვილად-ღა გადაიქცა—ასე, ამ მდგომარეობაში მყოფი, განშორებოდა სააქაო ცხოვრებას და, თუ ღირსი იყო, თვის პატარასთან ეპოვა თავ-შესაფარი ..

* * *

გული დაუმშვიდდა, სულმა დაწყნარება ჰპოვა. თავი მაღლა ასწია და თვალი მზრუნველობით ბალღის საფლავს მიავლმოავლო.

საფლავი მთლად იით იყო მოფენილი, ასე ჰგონია, ზედ ძვირფასი ქსოვილი გადაუფარებიათო. ეს კდემა-მოსილი ყვავილი, სიმბოლო პირველ-ყოფილის ადამიანის ცრემლისა, ისეთის თანაგრძნობის მსახველი იყო დედის თვალში, თითქოს რაღაც საიდუმლო რამ ჰქონდა სათქმელი, შვილისაგან დანაბარები.

გოგლოს სულიც ასევე ნაზი და წმინდა იყო, როგორც ეს ყვავილია.

აქ ქალის გონებაში უცნაურმა აზრმა გაიელვა: იქნება მტვრად ქცეული სხეული გოგლოსი ამ მშვენიერ ყვავილად ამოცენდა და ეს კეთილ-სუნნელოვანება იისა განხორციელებაა ბალღის ანგელოზ სულისა? იქნება განგებამ შეისმინა დედის ცრემლი-ვაება და დასაურვებლად ეს პაწია მცენარე მოუვლინა, რომ მასში ჰპოვოს ძვირფასი დანაკარგი?!

და ქალმა აკანკალებულის ხელით რამდენიმე ყვავილი მოსწყვიტა, შეკონა ერთად და, გამოურკვეველ-ნეტარება აღძრულმა, ამბორ-ჰყო ვით წმიდა ნაწილებს...

* * *

სახლში რომ დაბრუნდა, ყვავილები წყლით სავსე ჭიქაში ჩადგა და ბალღის სურათს გვერდით მოუყენა.

ამ ყვავილების სიახლოვემ როგორღაც გააცოცხლა, სული შთაბერა ბავშვის სურათს.

თუ სურათი მხოლოდ მკრთალი გამოხატულება იყო ბალღის სახისა, სამაგიეროდ, ყვავილები, როგორადაც სიცოცხლის მჩენნი არსებანი, დედის თვალში ცხოველ მეტყველების ელფერსა ჰფენდნენ ამ სურათს.

დედა რომ იის კონას და სურათს აშტერდებოდა, ასე ეგონა, რომ გოგლო კვლავ ცოცხალია, მისს გვერდით არის, ლაღობს, თამაშობს...

არ ესმოდა მხოლოდ მისი წკრიალა ხმა.

მაგრამ გულხმიერება დედისა ტკბილ წარსულიდან ჰკრეფავდა ნეტარ სურათებს და ფრთა-შესხმულ წარმოდგენის დროს ქალის სმენას თითქოს საამურ ჰანგად ჩაესმოდა ნაცნობი ხმა, ოცნების ძალით მონაბერი.

* * *

გაიარა რამდენმამე საათმა.

წყალმა ვერ ახეირა ნაზი ყვავილი, ბუნებრივ საზრდოს მოკლებული.

ია დაჭკნა, თავი მოწყვეტილსავით მოხარა... ტანი დაუწვრილდა, მჩვარივით მოუდუნდა და, თუმცა წყალში იდო, როგორღაც გაიწრიტა, გეგონებოდათ, სისხლ-ამოწოვილი სხეულიაო.



ბალის კუნწულა

ყვავილს იერი დაეკარგა, მუქი, სიცოცხლის მჩენი ელფერი გაეცრიცა.

იას სიკვდილი ჩაეხვია.

ქალმა რო ასეთი ცვლილება ჰნახა, გულში მახვილის ჩხვლეტასავით რაღაც ტკივილი იგრძნო. მაშინვე მიჰხვდა, რომ მის წინ მკვდარი ყვავილია, სიცოცხლე აღკვეთილი.

საშინელი წუხილი აეშალა, რომლის მსგავსი მხოლოდ შვილის დაკარგვამ აგრძნობინა.

საკვირველი იყო ასეთი თანაგრძნობა უბრალო მცენარისადმი, რომელსაც წინად მხოლოდ იმდრომდე აქცევდა ყურადღებას, ვიდრე იგი ცხოველ-მყოფელი იყო, დამატკბობელი, და, როცა ჭკნებოდა, ქარს გაატანდა ხოლმე, ვით უვარგის ჩალა-მლილს.

ახლა კი გულის ძგერა ისეთი ჰქონდა, თითქოს წინ მკვდარი ედო... გული ჰგლოვობდა ამ მიცვალებულს ისევე, როგორათაც ძვირფასს შვილს.

ამ დროს, უცბად, საშინელმა ფიქრმა ქალი სულის სიღრმემდე შეარყია.

ეს ყვავილი ხომ მან მოსწყვიტა სიცოცხლეს... არ აცალა დამტკბარიყო მზის ხილვით, რომ უფრო ზრდას მისცემოდა, გაფურჩვნილიყო... და, როცა დრო მოვიდოდა, დეე სიკვდილს ემსხვერპლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაღ, მან მოსპო უდრო-უდროოდ არსებობა ამ პაწია მცენარისა, ვით... განგებამ სიცოცხლე მისის ბალღისა.

— საკვირველია — ფიქრობდა ქალი, — რა უცნაური ერთობაა განგებასა და ადამიანს შორის... ორივე ულმობელი ძალაა, ყველაფრის განმანადგურებელი... ერთგვარის შეუბრალებლობით აღსავსე.

და ის ფიქრი, რომ მეც ადამიანი ვარ, სისხლ-ხორცში გამჯდარი მაქვს ეს დაწყევლილი უდიერი თვისება ყველაფრის შემუსვრისა, — ძარღვებში სისხლს უყინავდა.

აი, მისი შეუბრალებლობის მსხვერპლი — გახრწნილი ყვავილი...

მართალია, იგი მცენარეა, ადამიანის თვალში უსულო ნაკვთი ბუნებისა, რომელმაც არ იცის, რა არის ტკივილი, სიამე, ტანჯვა-ვაება, სიხარული.

აღმოცენდება უაზროდ დედამიწის ნიადაგზედ... იცოცხლებს ასევე უაზროდ რამდენსამე საათს, დღეს და ისევ მიწას უბრუნდება მისივე შვილი... ადამიანივით იგი ცხოვრებაში კვალს როდი სტოვებს... თითოეული ადამიანი განკერძოვებული მოვლენაა, რომელიც სრულის ნაკვთთა შეხამებით როდი ლა დაიბადება სხვა ადამიანის სახით...

მცენარე-კი ასეა?

აი, ეს ია... იყო ამ ქვეყნად... ბოლოს მტვრად იქცა და რა დასტოვა თვისს შემდეგ?

როცა ქალმა ამ კითხვაზედ პასუხის-გება დააპირა, სული შეეხუთა... იგრძნო, რომ არ ძალუძს ჩვეულებრივად უპასუხოს თავისს თავს, „არაფერიო“.

ვერ იტყვის ამ საშინელ სიტყვას... ეს ხომ მკვრეხელობა იქნება... ამ პაწია იამ უცნაური კვალი გაავლო ქალის არსებაში, თითქმის აღმოუფხვრელი... სიკვდილი ამ ყვავილისა ახლა რაღაც დიადის აზრით იყო მოცული...

მხოლოდ საკვირველი ეს არის, რატომ აქამდის, ერთხელ მაინც არ გაეღვიძა ასეთი თანაგრძნობა ამ უტყვ ბუნების ნაყოფისადმი? რა ძალაა ის უხილავი ძალა, რომელიც ცრემლსა ჰგვრის, კაეშანს უშლის მთელს არსებაში, როცა წარმოიდგენს, რომ ეს უმნიშვნელო ყვავილი სიკვდილმა წარიტაცა?.. რა არის საერთო მის გულისცემასა და იმ დანაკლისს შორის, რომელიც ბუნებამ დაჰკარგა იის სიკვდილით?

ეკითხებოდა ქალი თავისს თავს და, რაც უფრო ძლიერად ებმებოდა ზღვასავით მოვარდნილ ფიქრთა ხლართში, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ადამიანის სიცოცხლეში არის ისეთი მოვლენა, რომლის სიმწვავეს მხოლოდ იგრძნობ და გონებით-კი ვერ განსჯი...

ქალმა საშინელი ქვითინი დაიწყო... დაავლო ხელი მკვდარიათა კონას და კვლავ გასწია შვილის საფლავისაკენ, რომ თანასწორის წუხილით ეგლოვა ორი ნორჩი არსება, სიკვდილისაგან განწირული.

ილ. ელეფთერიძე

## ტ ფ ი ლ ი ს ი ს ტ ი პ ე ბ ი



ქვის მფენელი სპარსელი



ყასაბი, ფეხზე მოვაჭრე.

## ნ ა რ ე ვ ი

ინგლისის ტახტის მემკვიდრე. როდესაც ეხლანდელი მეფე ინგლისისა, ედუარდ მეშვიდე, ავადმყოფობის გამო ძალიან შეწუხდა, და უბედურობას მოელოდნენ, მაშინ მთელმა საზოგადოებამ თვალი მიაპყრო იმის შვილს, პრინც გეორგს.

პრინცი ხასიათებით ძალიანა ჰგავს მამას. მამასავით პრინცი თავმდაბალი უბრალო კაცია და არ უყვარს მედიდურობა, რითაც სრულიად არა ჰგავს თავის გარდაცვალებულს ძმას, კლარენის ჰერცოგს.

თავის დროზე სასახლეში ახირებულ ანეკდოტს ლაპარაკობდნენ მომავალს მეფე გეორგ მეხუთეზე, მაშინ ჯერ კიდევ ბავშვზე, რომელსაც თავის დღეში არ უფიქრია, რომ ოდესმე ინგლისის ბრძანებელი გახდებოდა.

ახალგაზდა პრინცი ძალიან ხელგაშლილი იყო და ჰფანტავდა ფულებს. ხშირად, როცა ფული შემოაკლდებოდა, თავის დიდედას, დედოფალ ვიქტორიას, მიმართავდა ხოლმე.

საქმე რომ გაუჭირდა დედოფალს შვილის-შვილის ვალების გადახდით, ადგა და თავის ხელით წერილი მისწერა, რომელშიაც უსაყვედურებდა ურიგო საქციელისთვის და ეუბნებოდა, რომ იმისთანა ქცევა არ შეჰფერის განათლებულს „სისხლის“ პრინცს.

პრინცმა საჩქაროდ უპასუხა თავის ავგუსტოესს დიდედას შემდეგი:

„ძვირფასო დიდედავ და ღრმად პატივცემულო დედოფალო. დიდად გმადლობ წერილისთვის, რომელიც ჩემთვის, როგორც ყოველთვის, ძვირფასი იყო. თქვენი წერილი 200 მანეთად გავყიდე და ეხლა ჩემი საქმეები გამოვასწორე.

თქვენი პატივისმცემელი შვილისშვილი

გეორგ“.

ეს წერილი რომ მიიღო, გულიანად გადიხარხარა და ბძანა: ჩემი შვილისშვილი ნამდვილი ინგლისელია.

როგორც ვუწყით, უელსის პრინცს ცოლად ჰყავს პრინცესა მეი, რომელიც პრინცის გარდაცვალებული ძმის დანიშნული იყო.

პრინცესა მეი იზრდებოდა თავის დედასთან, ტექის ჰერცოგინასთან, რომელიც სულ დედოფალ ვიქტორიასთან იყო, რადგანაც ის ძალიან უყვარდა დედოფალს.

ერთხელ, 1887 წელს, როდესაც დედოფალი ემზადებოდა სადღესასწაულო სადილისთვის, პატარა მეიმ გაიკეთა სტოლზე დაწყობილი დედოფლის ბრილიანტები და დაიწყო სარკის წინ კოპწიაობა და ტრიალი. დედოფალმა ეს რომ შენიშნა, ჰკითხა, მოსწონს თუ არა სამეფო სამკაული და როდესაც ბავშვმა თავი დაუქნია, დედოფალმა სთქვა:

— დღეიდან, პატარა ქალო, მე შენა გნიშნავ ინგლისის ტახტის სასძლოდ.

ამ გვარად პატარა მეი დანიშნული იყო ტახტის მემკვიდრეზე· მაგრამ უდმობელმა სიკვდილმა წუთისოფელს გამოასალმა მემკვიდრე, და ამ გვარად პრინცმა გეორგმა მიიღო ძმისაგან მემკვიდრეობაც და დანიშნულიც, რომელზედაც, ერთი წლის გლოვიარობის შემდეგ, ჯვარი დაიწერა. დედოფალი ვიქტორიას სიტყვებიც: „მე შენ გნიშნავ ინგლისის ტახტის სასძლოდ“-ო სრულიად გამართლდა.

* *
*

ახირებული მადლობის გადახდა. ინგლისური გაზეთები შემდეგ ამბავს მოგვითხრობენ. ერთი პოლკის ოფიცერი ძალიან სასტიკად ეპყრობოდა ჯარის კაცებს, რის გამოც იმათ საშინლად სძულდათ იგი. ერთხელ ამ ოფიცერს ძალიან გადაეკრა და მთვრალი წყალში ჩავარდა და იხრჩობოდა, მაგრამ ერთმა იმისი პოლკის სალდათმა თვალი შეასწრო და წყლიდან გამოიყვანა.

ცოტა რომ გამოფხიზლდა ცივი აბანოს შემდეგ, ოფიცერმა დიდი მადლობა გადაუხადა თავის გადამრჩენელს და ჰკითხა, რითი შემიძლიან დაგაჯილდოვო გადარჩენისთვისო.

— ყველა საჩუქარს ის ემჯობინება, თქვენო კეთილშობილებავ,— უპასუხა ჯარის კაცმა,—ნურავისთან ნუ გაამხელთ, რომ მე თქვენ წყლიდან გამოგიყვანეთ.

— მერე რათაო?—ჰკითხა გაკვირვებულმა ოფიცერმა.

— იმათაო, თქვენო კეთილშობილებავ, ჩემმა ამხანაგებმა რომ შეიტყონ, მე თქვენ დახრჩობას გადაგარჩინეთ, ჩამიძახებენ იმ წყალში.



1-ლი. გლეხი, რომელიც არ არის წევრი „პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა“.

2-რე. „ბირუტყვთა მფარველი“ იცავს „ვირის პიროვნებას“...




სახლის პატრონი. ვა, ოთხი თვეა სახლის ქირას არ მაძლევ, ეს ზაფხული კიდეც გაიყვანე.

მდგმური. ზაფხულში ჩემი სახლობა აგარაკად არის, მე-კი აივანზე მძინავს, სახლში არც-კი შევდივარ, რისა უნდა მოგცე.

სახ. პატრონი. ვა! ზაფხულში მე სულ ბანზე მძინავს, დღე კი დუქანში ვარ, მაშ სახლი ჩემი არ ყოფილა! ლავე ხოსუ ასტუძგიდენა.



მოვალეთა ქეიფი ცხინვალის ცეცხლის გამო. (ცხინვალში გაჩენილმა ცეცხლმა ბევრი თამასუქები და ბარათები იმსხვერპლა მოვალეებისა).



ქუთაისის „სანიტარები“

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 9 Августа 1902 г. Электропеч· груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა).